# სახალხო გაზეთი

№ 154 ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

**** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

---

6 ნოემბერს, საფრანგეთის ქ. კანნაში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულის სამთო ინჟინრის

**გიორგი გაბრიელის ძის დეკანოზიშვილის**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება პანაშვიდი ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და მისი **მარიამ გაბრიელის ასული, სიძე იოსებ დავითის ძე ქანანაშვილები, ბიძაშვილი ერეკლე გიორგის ძე დეკანოზიშვილი.** (2—1)

---

ხუთშაბათს, 11 ნოემბერს 2½ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულ

**გიორგი დეკანოზიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის მეგობარნი და ნაცნობნი აუწყებენ საზოგადოებას. (2—1)

---

**რ. ა. პორტუგალოვისა**

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

**დიდ ძალი**

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—34)

---

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

| | |
|---|---|
| **გ. გაჩაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ. | ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ. |
| **შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს. | **ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი |
| **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ. | მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. |
| **ნ. ვ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს. | ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. |
| **ა. მოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს. | (წლ.—ნ.—484) |
| **ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და | |

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

| | |
|---|---|
| **ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ. | **მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს. |
| **ზედგენიძე მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს. | **მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ნახ. ს. |
| **გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ. | **მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს. |
| **კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს. | **ფირაძოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 12—1 ს. |
| **მაჭავარიანი გ. გ.** შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს. | **პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს. |
| **ქავთარაძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს. | **ხოპერსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (200—ნ.—321)

---

**მოითხოვეთ ბუნებრივი**

**კახური ღვინოები**

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.-ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—6)

---

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 21.

ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**საგანა**

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად, ი. გორდინისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლეჟავა ო., ლოლუა ა., პიერრეტა ა., ქილარჯიშვილი მ., შოთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი ვლად., არადელი ვ., გვარამე ნ., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი., შალიკაშვილი ვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ადმინისტრაცია** ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი **ვლ. ალექსი მესხიშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მოწაფეებისთვის 50 კ.

**დამსწრეთა საყურადღებოდ:** თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

**მზადდება წარმოსადგენად:** „ედმონდ კინი", „იმედის დაღუპვა", „ყაჩაღები", „მისს გობს" და სხვა.

---

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**უკლონსკი**—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ბავშვ. ყოველ-დღე 3—4 საათამ.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

**ხარაპ**—ბავშვ. შინ. ყოვ.-დღე 12—1 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის. ავად. ყოველ-დღე 9—11 საათამ.

**მიკირტუმოვი** დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

**ფონდოევი**—ნერვ. ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 11—12 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წრატით. (100—ნ.—18)

---

**ექიმი** ძ. ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ. ფირალოვის სახლი. (50—170—11).

---

**მასწავლებელი**

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—17)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—259)

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

---

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაქინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—27)

---

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჯორჯიაშვილის ქ., № 9. (უ)

---

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—75)

---

**ექიმი ჯაფარიძე**

ძ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—7)

---

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. მთა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—79)

---

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.**

სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—17)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაპარიძისა (უ)


# ლევ ტოლსტოი.

საფრანგეთის თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი ბუმბერაზი, ანატოლ ფრანსი, ამბობს, ლევ ტოლსტოის შესახებ დიდი წიგნები უნდა დაიწეროს და არა პატარა საგაზეთო წერილებიო. სრული სიმართლეა. ტოლსტოის პიროვნება სულიერ სიმდიდრის ისეთს უხვს და რთულს ნაკადულს წარმოადგენს, რომ ორიოდე საგაზეთო სტრიქონი ამ ზენაარ ნიჭით ცხებულ ადამიანის მკრთალ სურათსაც ვერ დაგვიხატავს. ტოლსტოი სწორუპოვარია როგორც მხატვარი, როგორც ფილოსოფოსი, როგორც მორალისტი, როგორც პუბლიცისტი, როგორც კერძო ადამიანი, როგორც თავის სამშობლოს შვილი, როგორც კაცობრიობის ინდივიდუალური განსახიერება და სხვა. მრავალმხრივ შეიძლება დააცქერდეთ და გაითვალისწინოთ ლევ ტოლსტოის სიცოცხლე და მოქმედება, მაგრამ საიდანაც უნდა შეხედოთ მას, იგი ყოველთვის დიდებულ ადამიანად გეჩვენებათ.

საყურადღებოა, რომ ამ დიდებულ ადამიანს წინაშე მოწიწებით იხრის თავს და განსაკუთრებითს სულიერ აფრთოვანებას ჰგრძნობს აუარებელი ხალხი განურჩევლად ეროვნების, წოდების, კლასსურ მდგომარეობის, მორალურ და ფილოსოფიურ აზროვნებისა. თითქოს რუსეთის მხცოვანი ისეთ მწვერვალზე შემომდგარიყოს, რომლის სიმაღლიდანაც თანამედროვე კულტურის შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი უჩინარი ჰხდებიან, ტოლსტოის თანასწორის გულწრფელობით ადიდებენ და ათაყვანებენ ისინიც, ვინც იმისი თანამოაზრენი არიან, და ისინიც ვინც არ ინაწილებენ იმის აზრებს და რწმენას.

საიდან წარმოსდგება, საიდან მომდინარეობს ეს სასწაულებრივი ერთსულოვანება, რომელიც სახელმწიფოთა საზღვრებს არღვევს, ეროვნობის ხარისხებს ჰშლის, ქონებრივ უთანასწორობის კედლებს გადაჰლახავს, აზრის და რწმენის სხვა და სხვაობას აქარწყლებს და მთელს დუნიას ლევ ტოლსტოის მხურვალე თაყვანისმცემელად გადააქცევს? იქნება გაიფიქროს ვინმემ, ვითომ ტოლსტოი სიცოცხლითვე განზე დამდგარიყოს თანამედროვე ცხოვრების წინააღმდეგობისაგან, პილატისებურად ხელი დაებანოს ადამიანთა ურთიერთობის გამაჰწვავებელ პირობებზე, განურჩევლობის გრძნობით გამსჭვალულიყოს მიმდინარე სასიცოცხლო საკითხებისადმი და ამ გვარის ანაქიარეტობით დაემსახურებინოს საყოველთაო სიყვარული?—ღრმად შემცდარი ფიქრი იქნება. პირიქით ტოლსტოი სწორედ იმით არის დიდებული, რომ მიუხედავად სასტიკად განსაზღვრულის დამოკიდებულებისა ცხოვრების ყოველ ძირითად საკითხისადმი, იგი ისეთს საფუძველს ემყარებოდა, რომელიც ყოველ ადამიანის ბუნებრივ თვითშეგნებით საყოველთაო ღირებულებაა, და ამიტომ ამ გვარ საფუძველზე დამყარებული უკიდურესი აზრებიც კი მომასწავებელი იყვნენ არა ბოროტების, არამედ სიკეთისა და სათნოებისა, არა განხეთქილების, არამედ სულიერის თანხმობისა და ერთობისა. ყველამ ვიცით, რომ ეს სასწაულთ-მომქმედი საფუძველი და დასაბამი ლევ. ტოლსტოის შესანიშნავის ცხოვრებისა და აზროვნებისა, არის ადამიანის ზნეობრივი ღირსება და იმისი ზნეობრივი შემოქმედება.

ჩვენს დროში, როცა მატერიალურ ინტერესების ზღვა თითქოს სულერთიან შთანჰთქავს ადამიანის ზნეობრივს სახეს, როცა ზნეობრივ შემოქმედების დასუსტებისა გამო ადამიანი თითქოს ჰკარგავს თავის ინდივიდუალურ განსახიერებას, როცა თვითშემქნელ პიროვნების ადგილს ეკონომიური და სახელმწიფოებრივი კატეგორიები იჭერენ, როცა სულიერ ერთობის ნაცვლად ადამიანთა თანამშრომლობის და თანამცხოვრებლობის პრინციპად თითქოს საბოლოოდ გადაიქცა ინდივიდუალობის და პიროვნობის ამომგდები მატერიალისმი, ასეთს დროში რუსეთის ბუმბერაზი ლევ ტოლსტოი ქვეყნიერებაზე უზენაეს განგებისაგან მოვლენილს მოციქულს ჰგავს. თითქმის მთელ საუკუნის განმავლობაში ეს მოციქული შეურყეველის სიმტკიცით იღვწის თავის საკუთარ ზნეობრივ პიროვნების დასამთავრებლად; ამ ზნეობრივ შემოქმედების პროცესში იგი ულმობელი კრიტიკოსია, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არაფრის და არავის წინაშე არა ჩერდება, პირდაპირ და უშიშრად ეძებს ზნეობრივ ნავთსაყუდელს და თავის მოქმედების მადლცხებულ სხივებით უნათებს ზნეობრივ ჭარ-დაქმნის გზას დამაშვრალ კაცობრიობას. რუსეთის მიწა-წყლის უდიდესი მხატვარი, როგორც უწოდა ლევ ტოლსტოის ტურგენევმა, ზნეობრივ თვითმქნელობის მეოხებით მთელ კაცობრიობის თვალში სამაგალითო პიროვნებად და ზნეობრივ მოძღვრად გადაიქცა.

ლევ ტოლსტოის მდიდარი სულიერი სიცოცხლე სხვა და სხვა ერისა და ადამიანისთვის სხვა და სხვა მხრივ შეიძლება იყოს საინტერესო. ჩვენთვის, ქართველებისთვის, საყურადღებოა არა ლევ ტოლსტოის რელიგიური მისტიციზმი, არა პასსიურ წინააღმდეგობის პრინციპი, არა თანამედროვე კულტურის კრიტიკა, არამედ იმისი დაუშრეტელი და აღმოუფხვრელი მისწრაფება ზნეობრივ და ინდივიდუალურ პიროვნების შექმნისაკენ. სხვა და სხვა პატივსადებ თუ უპატივო მიზეზებისა გამო ქართველი ადამიანი, რაც ხანი გადის, უფრო და უფრო უახლოვდება ისეთ არსებას, რომელსაც ობიექტის სახელი უფრო შეჰფერის, ვიდრე სუბიექტისა. ქართველი ადამიანი არა პრინციპიალურ მოსაზრებათა გამო, არამედ სწორედ იმიტომ რომ იგი პრინციპებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ისე ითქვიფება თანამედროვე კულტურის ქარტეხილში, რომ ამ ადამიანში ხშირად ყველაფერი შეგვიძლიან ვიპოვოთ. ერთის გარდა, სახელდობრ პიროვნებისა. ლევ ტოლსტოი, ეს სინიდისი რუსეთის ცხოვრებისა, თამამად შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სინიდისი მთელის კაცობრიობისა და კერძოდ საქართველოსი რომელსაც ისე არაფერი არ ესაჭიროება, როგორც ქართველ ადამიანის გულში გაყუჩებულ ზნეობრივ თვითმქნელობის ძარღვის, სინიდისის, გაღვიძება.

ტოლსტოი გადაიცვალა, მაგრამ იქნება ცხრამეტ საუკუნის განმავლობაში არც ერთ ადამიანის გადაცვალება არა ყოფილიყოს ისეთი ენერგიული მოტივი კაცობრიობის ზნეობრივ აღორძინებისთვის, როგორც ტოლსტოის გადაცვალება.

# ძვირფას მეგობარს!..

დღეს მე არ ვიწყებ სჯა—ბაასს რომელიმე საზოგადო საკითხის შესახებ. დღეს მინდა ორიოდე სიტყვა ვუძღვნა ჩემს მეგობარს. შორეულ ქვეყანაში მყავდა ძვირფასი მეგობარი. ეხლა იგი ცოცხალი აღარ არის. გამოემშვიდობა წუთი სოფელს. ეხლა იგი ცივს სამარეშია,—შორეულს ქვეყანაში, სადაც ასე უწყალოდ იტანჯებოდა მისი სული და ხორცი.

მკითხველი არ დამემდურება, რომ ავარიდე თვალი საზოგადოებას და შორად ჩემს გრძნობას ვუზიარებ მას. ყველასა ჰყავს მეგობარი, ყველამ იცის, რა არის ტანჯვა მარტოობაში განცდილი და ჩემი სევდა მეგობრის დაკარგვის გამო ხამად არავის ეჩვენება და არავისთვის გაუგებარი არ დარჩება.

არ შემიძლიან გამოვამჟღავნო სახელი ჩემი მეგობრისა, არ შემიძლიან საჯაროთ რითიმე პატივი ვცე მისს ხსოვნას. მე გულში უნდა ჩავიმარხო ჩემი სევდა, ჩემი სიყვარული ჩემი აღშფოთება და გულის სიღრმეში უნდა ვატარო ჩემი მწუხარება და ჩემი ტანჯვა.

მეგობრობა.

შემიძლიან მხოლოდ ვსთქვა, რომ ეს იყო დიდი პიროვნება, დიდი სული სულ პატარა ადამიანის სხეულში მყოფი. ეს იყო ადამიანი,

რომლისთვისაც არ არსებობდა პირადი სიცოცხლე, რადგან ყოველივე სხვას მისცა, სხვას გაუზიარა და ეს სხვა იყო მისი, ოცნება, მისი სიყვარული და მისი ღვთაება ტანჯული სამშობლო.

ამ მხრივ იგი ბედნიერი იყო, რადგან თავის სამშობლოსთან „კრებულად ყოფნა“ მისი სულის კმაყოფილებას ანიჭებდა და თავის ოცნების ფრთეთა ქვეშ სთბებოდა მისი გული, სხვაფრივ უნუგეშოდ დაობლებული და დაწყლულებული.

დღეს იგი ცოცხალი აღარ არის. დღეს მას აღარ აწუხებს ის აზრი, თუ რატომ დარჩა ასე ობლად და რატომ გახდა მისი სიცოცხლე გული და ლტოლვილი. დღეს იგი გაკვირვებული აღარ არის, რომ მას გარშემო გულშეტკივარნი და მეგობარნი არ ახვევიან—იგი ხომ სხვისთვის სცოცხლობდა და სხვებმა კი არ შეიწყნარეს იგი, ზურგი უბრუნეს მას! დღეს მის გულში არ არის არც ეს გაკვირვება, არც ამისაგან გამოწვეული გულის ტკივილი დღეს იგი მკვდარია, ცივს სამარეშია, შორეულს ქვეყანაში, სადაც უნაცლოდ იტანჯებოდა მისი სული და ხორცი...

მშვიდობით მეგობარო!

**არჩილ ჯორჯაძე.**

# სახელმწიფო სათათბირო

**გუჩკოვი** თავმჯდომარეობს და აცხადებს: ბატონებო! გუშინ გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი, სათათბიროს დეპუტატი (სარატოვის გუბერნიიდან) მამა ზლატომარეუევი; წინადადებას გაძლევთ ფეხზე ადგომით პატივისცეთ მის ხსოვნას. ყველანი სდგებიან.

ამის შემდეგ თავმჯდომარე სათათბიროს მიჰმართავს: ჩვენს სამშობლოს დიდი მწუხარება ეწვია: გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, დიდებული მოაზრე და ხელოვანი,—რუსეთის სიმაყე გენიოსი და მთელის კაცობრიობის დიდება გარდაიცვალა. და, ყოვლად მოწყალე ღმერთმა, დაამკვიდროს იგი სასუფეველსა შინა თვისსა. წინადადებას გაძლევთ მის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეთ და ჩვენის ულრმეს მწუხარების ნიშნად დღევანდელი სხდომა შევსწყვიტოთ ორიდე უკიდურეს „მემარჯვენეთა გარდა ყველანი ფეხზე სდგებიან. სხდომის შეწყვეტასა და გადადებას კენჭს ვუყრი.

**ზამისლოვსკი** სიტყვას თხოულობს. მარცხნიდან ხმები: კამათის ნებას ნურავის მისცემთ, კენჭი უყარეთ!

**ზამისლოვსკი:** მე ამ წინადადების წინააღმდეგი ვარ და ვაცხადებ, რომ ტოლსტოის პატივსაცემად სხდომის შეწყვეტა არა ღირს. ჩემი აზრი ორს მოსაზრებაზე ემყარება: არსებისა და ფორმალურზე. ფორმალურის მხრივ, მე მგონია, რომ მოაზრეთა, ხელოვანთა, მსახიობთა და მეცნიერთა სიკვდილმა სათათბიროს სხდომათა შეწყვეტა არ უნდა გამოიწვიოს, რაც უნდა გამოჩენილნი და ნიჭიერნი იყვნენ ისინი: თუ ვისმე ასეთ პირთა პატივისცემა ჰსურთ, ეს სხვა გზით და სხვაგვარად შეუძლიათ გამოხატონ და არა სათათბიროს სხდომის შეწყვეტით, იმ სათათბიროსი, რომელიც ქვეყანას ესაჭიროება და რომლისათვისაც იგი ხარჯს იხდის (მარჯვნივ ხმები: მართალია!) ასეთია საქმის საზოგადო მოსაზრება, ასე ვსთქვათ, ფორმალურად. მაგრამ, გარდა ამისა, ამ შემთხვევის შესახებ არსებითი მოსაზრებანიც გვაქვს: ტოლსტოი, უკანასკნელ დროს, ეკკლესიას, ოჯახსა და საკუთრებას უარსა ჰყოფდა, იგი უარს-ჰყოფდა და ყველა იმას, რასაც ჩვენ, როგორც სახელმწიფოებრივი დაწესებულება, უნდა ვიცავდეთ და ვიფარავდეთ. ტოლსტოის უკანასკნელ წელთა მოღვაწეობა დამანგრეველი იყო, ჩვენი მოქმედება კი შემოქმედებითი და აღორძინებითი უნდა იყოს (მარჯვნივ უწონებენ) იგი ეკკლესიასთან შეუმოწყრა, ლი გარდაიცვალა. ეკკლესიამ მას დამარხვაზე უარი სთქვა და მისი პატივისცემა აქ, სათათბიროში, ეკკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებას უდრის. (მარჯვნივ ხმები: მართალია! ცენტრიდან: ტყუილია). ეს საქციელი იმის დამადასტურებელი იქნებოდა, რომ ჩვენ სახელმწიფოსა და ეკლესიის გაცალკევების მომხრენი ვიყოთ. მე ვიცი, რომ სათათბიროში ბევრი ესწრაფის ამას, მაგრამ ამის წინააღმდეგ ჩვენ გვიბრძოლნია და ვიბრძოლებთ კიდეც. კიდევ ერთი რამ, ყველაზე უაღრესი: სათათბირო —ეს სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა, რის გამოც მას სახელმწიფო სათათბირო ეწოდება. ტოლსტოი-კი სახელმწიფოსა და სახელმწიფო დაწესებულებათ უარ-ჰყოფდა, კერძოდ იგი სახელმწიფო სათათბიროსაც უარსა ჰყოფდა: სახელმწიფო დაწესებულებაში იმისთანა კაცის პატივისცემა, რომელიც ამ დაწესებულებას უარსა ჰყოფს, თავის თავის უარ-ყოფად მიაჩნია (მარჯვნივ ხმები: მართალია) და ასეთი საქციელი შეუძლებლად. ლოღიკურ სისულელედ მიმაჩნია და ამის გამო პროტესტს ვაცხადებ. (მარჯვნივ ტაშის ცემა, მარცხნივ სტვენა).

**თავმჯდომარე:** დღევანდელ სხდომის შეწყვეტასა და გადადებას კენჭს ვუყრი. უკიდურეს მემარჯვენეთა და რამდენიმე ნაციონალისტთა წინააღმდეგ სხდომის გადადება უმრავლესობამ მიიღო.

# დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფთა სააგენტოსაგან)

9 ნოემბერი.

## საზღვარ-გარედ

**პარიზი.** ჟულ ფერრის ძეგლის კურთხევის შემდეგ, ბრიანი ტულიერის ბაღიდან რომ გამოვიდა, მას ერთი ახალგაზრდა კაცი მივარდა და მუშტი მოუქნია. ბრიანმა უკან დაიწია და ქუდი გადაუვარდა. ხალხმა თავხედი ყმაწვილი, ლეკური—„კამელო დე რუას“ (მეფის დამტარებელი ორგანიზაციის წევრი) დაიჭირა და, ბრიანს რომ არ ეშველა, მოკლას უპირებდნენ. ბრიანმა სთქვა, რომ ამ ყმაწვილმა ჩემზე გიჟის შთაბეჭდილება მოახდინაო.

**სოფია.** სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მსოფლიო პატრიარქატისა და ბულგარიის საეგზარხოსოს შორის მოლაპარაკება შერიგების გზას დაადგა. ოსმალეთის პალატაში მყოფმა ბულგარელმა დეპუტატებმა პატრიარქი ინახულეს. მოელიან, რომ ეგზარხოსის ამავე პალატის ბერძენი დეპუტატებიც ინახულებენ. ეს დაახლოვება დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობითაა გამოწვეული, რომელიც ოსმალეთში ქრისტიანთა გაერთიანებას მოითხოვს. ბერძენ-ბულგართა პოლიტიკა იქითკენ იხრება, რომ პატრიარქი ბულგარიის ეკლესიის დამოუკიდებლობაზე დაითანხმოს. საჭიროა მხოლოდ გადასწყდეს, რომ ოსმალეთის სამფლობელოში ბულგარიის ეგზარხოსს დამოუკიდებელი იურისდიქცია მიენიჭოს, რის წინააღმდეგაც იყო პატრიარქატი. ეხლა კი ამ საკითხის გადაწყვეტის იმედი სჩანს. ოსმალეთის ვიწრო ნაციონალიზმის გამო, ბერძნებმა და ბულგარებმა შეთანხმებით მოქმედების საჭიროება უკვე შეიგნეს.

**პარიზი.** ლეკური პარიზელი დურგალი აღმოჩნდა. იგი „მეფის დამტარებლის“ მთავარ კომიტეტის წევრა ყოფილა, სერჟანტად ნამყოფი, საიდანაც ურჩობისათვის დაუთხოვნიათ. პოლიციაში ლეკურმა განაცხადა, რომ პირადად ბრიანის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ იგი წინააღმდეგია ბრიანის მიერ განხორციელებულ არსებულ წესწყობილებისა და თუ ბრიანს ხელი შევახე, ამითი რესპუბლიკის ხელის შეხება მსურდაო. ამ ინციდენტის შემდეგ ბრიანი ეტლში რომ ჩაჯდა, ხალხი ჰყვიროდა: ბრიანო! „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს“.

**ბერლინი.** 7 ნოემბერს დაარსდა გერმანელთა ბეჭვდითი სიტყვის საიმპერიო კავშირი, რომლის მიზანიცაა, კავშირის წევრთა პროფესიული და ნივთიერი ინტერესები დაიცვას.

**პარიზი.** ბერლინში მყოფი „მატენის“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ ამ ორის თვის წინად იტალიასა და ავსტრო-გერმანიას შორის განახლებული ხელშეკრულება ბალკანეთში ავსტრო-გერმანიის პოლიტიკურსა და სააღებ-მიცემო გავლენას საზღვრავს: იტალიას შავიმთა და ალბანეთი ერგო, ხოლო ავსტრიას—მაკედონი და სალონიკი.

**თავრიზი.** ანზელის შეტაკებაში ერთის მხრივ შეკაკის ყველა მეომარნი და სუნჯის გლეხობა იბრძოდა, მეორეს მხრივ კი მთავრობის ცხენოსანი—სერბაზები, ყარაბაღისა და ნაზლუჩაის ოლქის გლეხობა. მთავრობის მომხრე გლეხობის სარდალად ცნობილი ჰაჯი-ნაზირია. ქურთების სარდლებად ოსმალები არიანო.

**მექსიკო.** თუმცა განზრახული ამბოხება არ მოხდა, მაგრამ მთავრობამ მაინც საგანგებო ზომები მიიღო.

**ლვოვი.** უკრაინის გაზეთ „დილოში“ ქულინის თემის განცხადებაა მოთავსებული. განცხადებას ხელს აწერენ: სოფლის გამგეობის წევრნი, ადგილობრივი სამღვდელოება, განმანათლებელ საზოგადოების „პროსვიტას“ წევრნი, სოკოლის კავშირის წევრნი, სამოსწავლო საბჭოსი და თემის წევრნი. განცხადებაში ნათქვამია, რომ მასწავლებელ გრეისის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებანი მართალიაო.

**ვენა.** გაზეთები მხოლოდ ტოლსტოიზე-ღა სწერენ. განსვენებულის უკანასკნელ სიტყვებს (მილიონ ხალხის შესახებ) სიმბოლიურ მნიშვნელობას აწერენ: ტოლსტოის გარდაცვალება მილიონ ხალხის გულს აატოკებსო. „ნეიე-ფრაიე-პრესსე“-ში უნივერსიტეტის რექტორი სწერს: ტოლსტოის პიროვნებაში უდიდესი რუსი, უდიდესი სლავიანი, უდიდესი თანამედროვე პოეტი ჩაქრა. საზოგადოდ კი ტოლსტოის პიროვნება ადასტურებს, თუ რუსეთის ხალხს რამდენად შეუძლიან თანამედროვე კულტურის შეთვისება. იმის და მიუხედავად, რომ ტოლსტოის გრძნობა კაცთმოყვარეობა გერმანელთა მიმართ რჟევაში იყო, მაინც არც ერთი გერმანელი არ მოიპოვება, რომელიც რუსეთის ერსა და სლავიანთა მოდგმას ამ მწუხარებაში თანაგრძნობა არ გამოუცხადოს.

**ვენა.** ვენაში. მყოფმა რუმინის მინისტრ-პრეზიდენტმა კარპმა ერენტალი ინახულა და ხელმეორედ კიდევ ესტუმრება. მან „ნეიე-ფრაიე-პრესსის“ თანამშრომელს განუცხადა, რომ რუმინიისა და ოსმალეთს შორის სამხედრო კონვენცია არ არსებობს. მაგრამ ცხადიაო—უთქვამს კარპს,—თუ საერთაშორისო განყობილება გამწვავდა, რუმინია ოსმალეთთან ერთად სამთო კავშირს მიემხრობა და მათთან ერთად იბრძოლებს. რუმინიას ოსმალეთის განმტკიცება ჰსურსო.

**ლონდონი.** ლორდთა პალატას ლენდსდოუნმა წინადადება მისცა, რომ ვეტის შესახები კამათი 9 ნოემბრამდე გადაიდოს, და 8 ნოემბერს სალამოთი რეზოლუციას წარმოვადგენ, თუ ორივ პალატის გამწვავებულ დამოკიდებულება როგორ დავაღწიოთ თავიო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კრიპპენის მიერ პატიების თხოვნა არ შეიწყნარა. 10 ნოემბერს სასჯელს სისრულეში მოიყვანენ.

**ბერლინი.** სალამოს გაზეთები მხოლოდ ტოლსტოიზე და სწერენ, მას იხსენიებენ როგორც თანამედროვე კაზმულ მწერლობის დიდებულ, და უდიდეს ხელოვანს, ხოლო როგორც მოაზრესა და კულტურის მატარებელს სხვა და სხვაგვარად აფასებენ. თავისუფალ მოაზრეთა გაზეთები ტოლსტოის პიროვნებაში სრულს არამიანსა ჰხედავენ და თანამედროვეთა შორის სულიერ სიდიადით ყველაზე მაღლა აყენებენ; იგი თავის იდეალს გადაჰყვა, მას უმსხვერპლა სახლობა და ოჯახური მყუდროება. ჰერგარტ ჰაუპტმანს ტოლსტოი მეორე სავონაროლად მიაჩნია და ერთად ერთ თანამედროვე ქრისტიანად და რეფორმატორად. მაქსიმილიან გარდენი კი ამბობს, რომ ტოლსტოის უკანასკნელ თხზულებათ სიბერის ბეჭედი ატყვია, მისი ფილოსოფია კი რუსსოს ფილოსოფიის გაწყალებული ნადუღი იყო. რადგანაც ტოლსტოის ცხოვრება და მისი მოძღვრება ერთმანეთს ეწინააღმდეგობდნენ, იგი არ მომწონდაო. ტოლსტის სახლიდან გაქცევა გარდენს როგორც გეიზესაც ეფექტის მოსახდენ საშუალებად მიაჩნია.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** გუშინ [illegible] პატარა თეატრში და ახალ დრამას თეატრში წარმოდგენები გადასდეს, სხვაგან ყველგან ითამაშეს. ალექსანდრეს თეატრში, პირველ მოქმედების შემდეგ, დრამატურგმა ჩიშკოვმა საზოგადოებას წინა დადება მისცა ტოლსტოის ხსოვნისათვის ფეხზე ადგომით პატივი ეცაო. კერძო თეატრებმა დაადგინეს, რომ ტოლსტოის დასაფლავების დღეს წარმოდგენები გადასდონ. მიხეილ სტახოვჩის მეთაურობით სატახტო ქალაქის ერთს ეკლესიაში ტოლსტოის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

**ასტაპოვო.** განსვენებულ ტოლსტოის ცხედართან მისი შვილები და მახლობელნი ჯერ-ჯერით ყარაულობდნენ. განსვენებულის ქვრივი განთიადისას მოვიდა.

**პეტერბურგი.** ოქტომბრისტთა ფრაქციამ ფინანსებსა, როდზიაკოსა და გრაფ კაპნისტს დაავალა იშუამდგომლონ მინისტრთა საბჭოსა და მიტროპოლიტის ანტონის წინაშე, რომ ტოლსტოის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადონ. სათათბიროს სხდომის მერე, ყველა ფრაქციებს ტოლსტოის ხსოვნას გამო, თათბირი ჰქონდათ. ოქტომბრისტებმა, მუსულმანებმა, სოციალ-დემოკრატებმა და შრომის ჯგუფმა ტოლსტოის ქვრივს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს. პროგრესისტებმა და კადეტებმა დაადგინეს, რომ „იასნია პოლიანაში“ თავისი წარმომადგენელნი გაგზავნონ ტოლსტოის დასაფლავებაზე დასასწრებლად. კადეტებმა გადასწყვიტეს, 12 ნოემბრის სხდომაზე კანონ-პროექტი შეიტანონ, რომ ტოლსტოის დასაფლავება სახელმწიფო ხარჯით მოხდეს და მისი გარდაცვალების დღე ეროვნულ გლოვის დღედ დააწესონ. უკიდურეს მემარჯვენეთ სათათბიროს თავმჯდომარეს პროტესტი განუცხადეს, ტოლსტოის პატივისაცემად სხდომის გადადების გამო.

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში შუამდგომლობა აღძრა, რომ 1911 წლიდან წლის განმავლობაში 300 ათასი მანეთი გადასდონ, კავკასიის უღელტეხილზე ტფილისიდან კავკავამდე (არხოტის ქედზე) რკინის გზის გამოსაკვლევად.

**ასტაპოვო.** მოსკოვიდან ჩამოსულმა მექანდაკეებმა განსვენებულის მასკა გადაიღეს. შუა-დღის 12 საათზე განსვენებულის გვამი კუბოში ჩაასვენეს. კუბო განსვენებულის

# ლევ ტოლსტოი

სალოსობას რუსეთში ყოველთვის დიდი გასავალი ჰქონია. სალოსების გარეგანი ახირებულობა და გაუგებარი, ბოდვითი საუბარი, რაღაც მომხიბლავ ზარსა სცემდა ხალხს. ის მათ უაზრო მოქმედებაში სასწაულმოქმედებას ჰხედავდა და იმათ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბოდვიდან წინასწარმეტყველების გამოყვანას სცდილობდა.

ამ მისტიურ ძალას ექვემდებარებოდა არა მარტო მდაბალი წოდება, მაღალი წოდებაც კი და ხშირად სამღვდელოებაც.

მეფე იოანე მრისხანემ რომ ნოვგოროდი გაანადგურა და იმავე განზრახვით მიადგა პსკოვსაც, ვერც მთელის ხალხის ვედრებამ ვერც წარჩინებულთა მოციქულობამ, ვერც სამღვდელოების შუამდგომლობამ, გული ვერ მოუბრუნა, ვერ შეაყენებინა მრისხანე განზრახვა, და ერთმა ქუჩაში მოსიარულე სალოსმა კი რაღაც მიაძახა მეფეს და იმანაც შესწყვიტა გულის-თქმა და მშვიდობით დაბრუნდა მოსკოვისაკენ.

ამ ატავიზმით გამსჭვალულია რუსეთი და ჩვენს დღემდისაც მოჰყვა ეს რაღაცა სახადი სენი, თუ გამოურკვეველი ძალა, რის ნიმუშებსაც ხშირად ვხედავთ. ამ ბოლოს დროს, პეტრე დიდისაგან გამოჭრილ სარკმელში, თუმცა ძლიერად შემოაშუქა ევროპიდან განათლებამ, მაგრამ მაინც კიდევ ბევრია დარჩენილი სიბნელის ოაზისი. მესამოცე წლებში, როდესაც ივანე იაკობის ძე კორეიში დაეცა ქადაგად მოსკოვში, და მკითხაობა დაიწყო, ყოველ კუთხით მიაწყდა რუსეთი და გაიძვერა-მქადაგებლის სიტყვა-პასუხიდან საპირადო გულის საფხანი წინასწარმეტყველება გამოჰყავდათ, რამაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი, მატყუარას და თუ ეს ასეა, რაღა გასაკვირველია, რომ ნამდვილმა გენიოსმა, რუსეთში წარმოშობილმა, გაითქვას სახელი და ცამდი აიყვანოს მისი დიდება!

მე ვამბობ გრაფ ლევ. ტოლსტოიზე, რომლის სიკვდილმაც, თუმცა არა უდროომ, დიდად შეაძრწუნა ყველა ადამიანი. ჭყუილად-კი არ ჰყავდა ის ტურგენევს საოცრად წარმოდგენილი: გრაფ ტოლსტოის ხელოვნური ნაწარმოები, პატარ-პატარა მოთხრობები სევასტოპოლის ბრძოლის შესახებ, კავკასიის ომების აწერა, „კაზაკები“ და სხვანი მართლა საოცრად ჰხიბლავენ მკითხველს. დიდმა რომანებმა: „ომი და ზავი“, „ანნა კარენინა“ და სხვათა საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, როგორც გენიოს ხელოვანს. სიბერის დროს საფილოსოფიო გზას დაადგა და შეიძლება, ზოგი რამ მისთანა წასცდა, რაზედაც არ დაეთანხმოს მკითხველი, მაგალითად: „კრეიცერის სონეტი“ საჭკუისებური რამ, ბუნების წინააღმდეგი მოძღვრება, როგორც დრამატურგის შექსპირის გაკიცხვა, მეცნიერების უარყოფა, ხელოვნების გადაღგომა და სხვანი.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მთლიანი მისი მოსაზრება ყველასთვის სასარგებლოა და ზედ სიბრძნის ბეჭედიც აზის.

წარსულმა თავისი პური მოსჭამა და ზოგიერთი მისი წეს-წყობილებათაგანი დღეისთვის არა სასარგებლო, საგონებელიც არის. საჭიროა ახალი გზა და სხვა მიმართულება. ძველნი რაც მალე დაემხობიან, ისა სჯობს. ამას, რასაკვირველია, ბევრი გრძნობს, მაგრამ ისე შეგნებულად და გამბედავად მებრძოლს, როგორც ტოლსტოი იყო მთელს მის სიცოცხლეში, ძვირად ვხედავთ. მის მოძღვრებას სარჩულად სახარება ედვა. ის ჰქადაგებდა: „ერთობას, თანასწორობასა და სიყვარულს“. წინააღმდეგი იყო ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრისა, დიდისაგან პატარის ჩაყლაპვისა. ბევრ-რამ წვრილმან, სასაცილო მოვლინებას, ცხოვრებაში შემოღებულს, ეურჩებოდა.

აი ამათ მოიზიდა მან ყველა დაჩაგრულთა გული და გაიჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიაც, როგორც მოციქულმა და მახარობელმა მომავლისამ. მაშ რა საკვირველია, თუ ქართველებიც დღეს მას გულწრფელად იგლოვებენ?.. **აკაკი.**

# ძველი კილოს ხმები

ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს.

**ილ. ჭავჭავაძე.**

ბაღის მივარდნილს კუთხეში ჩვენ ოთხი მიუჯექით სუფრას. საქმე დიდი გვქონდა. ქეიფის გუნებაზე არ ვიყავით. ხალხისთვის არ გვეცალა.

ჩემი ამხანაგი მშვენივრად ლაპარაკობდა, მომწონდა სიმკაცრის მოკლე და გულმხურვალე დაცვა; აღტაცებული ხოტბა ადამიანისა, რომელიც მზად არის პატიოსნებას სიცოცხლე შესწიროს; მომწონდა მტკიცება, რომ შურის ძიება კანონიერი და ლამაზი მოვლენაა.

ყმაწვილმა ნელ-ნელა ხმას უკლო. ენა შეუბორძიკდა. ლაპარაკს თავი დაანება; ბოლოს მოწინააღმდეგის ყოველ სიტყვაზე, წინადადებაზე ერთსა და იმავეს იმეორებდა, თითქოს ძილშიაო...

„დიაღ... დიაღ... სწორედ“...

შორიდან ისმოდა მუსიკის ხმა, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევდი: ეხლა იგი უკრავდა ოდესღაც სამშობლოში გაგონილს ძველს კილოს, მაგრამ ვერ დავუგდე ყური: ამხანაგის ცვლილება უკვე მაშინებდა,—ვფიქრობდი, როგორ დავაღწიო თავი, რომ ჩვენი კლიენტი სასასირცხო მდგომარეობაში არ ჩაგვეგდო.

შორიდან ისევ ისმოდა ოდესღაც სამშობლოში გაგონილი ძველი კილოს ხმები.

ამხანაგმა მშვიდად სთქვა:

„უკაცრავად, ბატონებო, გეთანხმებით რომ, რაც წინად ვსთქვი, დიდად გადაჭარბებული იყო. პირობების შემცირება კი არა—ეხლა მივხვდი რაშიაც არის საქმე—სრულიად საკმაოა საბოდიშო წერილი: ჩემი კლიენტი დაკმაყოფილდება“.

„— აკი მოგახსენებდით, ბატონებო!—ერთხმად წამოიძახეს მოწინააღმდეგის რწმუნებულებმა“.

უარი განვაცხადე ასეთს დაკმაყოფილებაზე.—„ჩვენ სამნი ვართ. თქვენივე ამხანაგი, უფრო გამოცდილი, თანახმაა“.

აღარაფერი გაეწყობოდა, მეც დავთანხმდი.

რა ჰქენი?—დავეკითხე ამხანაგს, როგორც კი უცხო პირები წავიდნენ.

„რა ვქენი—და ძლიერ კარგად მოვიქეცი. ვინ იცის, ეხლა რა მდგომარეობაშია მაგათი დედ-მამა, დაძმა. ყველა მოელის საყვარელ ახალგაზდას. ჩვენ კი ისეთს პირობებს ვსდებდით, რომ ან ერთი ან მეორე, თუ არ მოკვდებოდა, უნდა საუკუნოდ დასახიჩრებულიყო. რაღა უნდა გვეთქვა მათთვის, ვისაც ისინი უყვარს... ერთხელ სოფელში მოულოდნელად დავბრუნდი გიმნაზიიდან. და იცი[illegible] რას შვრებოდა დედა ჩემი: იჯდა და საცოდავის ხმით, თითქოს ლოცულობს, ან ტირისო, წყნარად ჩონგურზე უკრავდა „მახსოვს პირველად“-ს;

მხოლოდ ეგ მახსოვს: გამომყვა დედა
და მითხრა: „შვილო, კმარა ნუ სტირი
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა?
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?!“

დღესაც ამ ხმას უკრავდა მუსიკა მომაგონდა ჩვენი ტბა, ეზოს ახლო თავდაღუნული, წყალში ჩაწოლილი ტირიფები; ნაპირები ყანებით და ვენახებით დაფენილი; ვიგრძენი ჩვენის სოფლის სიცხე, ამ ტბის პირად, ხეების ძირში შეგრილებული და მწუხარე ჩონგურზე სიმღერა დედაჩემისა; მომაგონდა მთელი მშვიდი ხრე დედაშვილურის, დაძმურის სიყვარულისა, ისეთმა თანაგრძნობამ ილმიტაცა მიტოვებული ოჯახის წევრებისადმი, რომ არ შემეძლო მათი წყენინება. ჩვენს ამხანაგსაც ჰყავს დედა. ვინ იცის, რას იმღერის იგი ეხლა. ვინ იტყვის როგორ ელის თავის შვილს, ჩვენ კი ტელეგრამა უნდა ვაგზავნოთ „მოჰკლეს“-თქო! უკაცრავად, არ შემიძლიან.

მუსიკა დიდი ხანია, რაც დადუმდა, მაგრამ ყურს კიდევ ესმოდა ძველი კილოს ხმები. **ნ. დ.**

შვილებმა ასწიეს. კუბოს მისდევდა განსვენებულის ქვრივი და რიაზან-ურალის გზის გამგე, 1 ს. და 45 წუთზე სამგლოვიარო მატარებელი გორბაჩევისაკენ გაემართა.

**კიევი.** უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, რომ ტოლსტოის პატივსაცემლად დღით უნივერსიტეტში მეცადინეობა შესწყვიტონ, მთავარ დარბაზში განსვენებულის ბიუსტი დასდგან და საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის ტოლსტოის სახელობაზე სტიპენდია დანიშნონ.

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, ტოლსტოის ხსოვნას პატივსაცემად ინსტიტუტში ხამის დღით სწავლა შეაჩერონ, ტოლსტოის თხზულებათა ხალხში გასავრცელებლად იაფ ფასიან წიგნების გამოსაცემი ფონდი დაარსონ, აგრეთვე ხელ-მოკლე სტუდენტთა დასახმარებლადაც.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტისა და ნაფიც-ვექილთა საბჭოებმა ტოლსტოის ხსოვნას ფეხზე ადგომით სცეს პატივი და სახლობას სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს. დასაფლავებაზე დასასწრებლად სხვა და სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან ასზე მეტი დეპუტაცია გაემგზავრა. 1000 მეტი სტუდენტი მიემგზავრება. მოსკოვის თეატრებმა დეპუტაცია და გვირგვინები გაგზავნეს. დრამატიულ მწერალთა საზოგადოებამ ვერცხლის გვირგვინი გაგზავნეს. კერძო დრამატიულმა თეატრებმა 9 ნოემბერს წარმოდგენები გადასდეს.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე ტოლსტოის გარდაცვალებისა გამო: მისმა უდიდებულესობამ წააწერა „გულიდად ვწუხვარ გარდაცვალებას დიდებულ მწერლისას, რომელმაც თავის ნიჭის აყვავილების ხანაში რუსეთის სახელოვან წლების ცხოვრებიდან მშობლიური ტიპები შეჰქმნა. უფალი ღმერთი მოწყალე მსაჯულად მოევლინოს".

**გორბაჩევო.** გორბაჩევის სადგურზე სამგლოვიარო მატარებელი მთელს ღამეს გაჩერდა, ხოლო 5 საათზე გაემგზავრება.

# ახალი ამბები

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**თანაგრძნობის დეპეშა ტოლსტოის გარდაცვალების გამო.** ტფ. ქალაქის გამგეობამ განსვენებულ ტოლსტოის მეუღლეს სოფიო ალექსანდრეს ასულს შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა დიდს თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულ ლევ ტოლსტოის ოჯახობას პოეზიის გენიისა, აზროვნების გოლიათისა და რუსეთისა და მთელის კაცობრიობის სიამაყის დაკარგვისა გამო. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. კრება გლოვის ნიშნად დაიხურა".

**ტფ. ქალაქის საბჭო.** 8 ნოემბერს ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მორიგი კრება დაიწყო საღამოს 8 საათსა და 50 წამს, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. ქალაქის მოურავმა დამსწრეთ, წარსულ კრების ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ, პირველად აუწყა გარდაცვალება სომეხთა არქიეპისკოპოსის სათუნიანისა და სთხოვა, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის, რაც დამსწრეთაგან შესრულებულ იქმნა. ამის შემდეგ მოურავმა დამსწრეთ აცნობა მხცოვან მწერლის ლევ ტოლსტოის გარდაცვალების ამბავი, მოკლედ და ნიჭიერად დაახასიათა დიდებულ ადამიანის ტოლსტოის მსოფლიო მნიშვნელობა და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მის ხსოვნისათვის. დამსწრეთ ერთსულოვნად შეასრულეს ეს წინადადება. ამის შემდეგ, ნიშნად ღრმა მწუხარებისა, კრება დაიხურა.

**უწ. სინოდის განკარგულება ტოლსტოის გარდაცვალების გამო.** საქართველოს ექსარხოსს უწ. სინოდის წევრმა მიტროპოლიტმა ანტონიმ დეპეშით აცნობა, რომ სინოდმა აღკრძალა პანაშვიდების გადახდა ლევ ტოლსტოის სულის მოსახსენებლადაო.

**კიდევ დეპუტად ჩხეიძის საქმე.** დეპუტად ჩხეიძის ცნობილს საქმეს სახელმწიფო სათათბიროს პირველი განყოფილება გაარჩევს 11 ნოემბერს, მაკლაკოვის თავმჯდომარეობით.

**კოტე მესხის იუბილე.** კვირას, 7 ნოემბერს, ქ. დრამ. საზოგ. გამგეობის მოწვეულ პირთა თანადასწრებით თათბირი ჰქონდა დამსახურებულ მსახიობის კოტე მესხის 30 წ. იუბილეს გადასახადის შესახებ. ამ დღეებში შეერთებული კრება შეიმუშავებს იუბილეს დაწვრილებით პროგრამას, აარჩევს აღმასრულებელს კომისიასა და ადგილს, სადაც გადახდილ იქმნება იუბილე.

**დ. ი. არაყიშვილის შრომა.** მკითხველებმა იციან, რომ მოსკოვის ბუნების მოყვარულთა სამუსიკო და ეთნოგრაფიულ განყოფილების დავალებით და დ. ზ. სარაჯიშვილის ნივთიერ დახმარებით, ცნობილმა მემუსიკემ დ. ი. არაყიშვილმა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხე მოიარა და აუარებელი მასალა შეჰკრიბა ქართულ ხალხურ სიმღერებისა და მუსიკიდან. ამ ქამად არაყიშვილს უკვე დაუსრულებია ვრცელი მოხსენება ქართულ სიმღერისა და მუსიკის შესახებ. ეს მოხსენება, როგორც „რუს. ვედ." გვაუწყებს, 4 ნოემბერს ბ-ნს არაყიშვილს მოსკოვში უნდა წაეკითხნა ბუნების მოყვარულთა საზოგადოების სამუსიკო და საეთნოგრაფიო განყოფილების საჯარო კრებაზე.

**რკინის გზა კავკასიიდან სპარსეთამდე.** უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა რუსეთ-სპარსეთის რკინის გზის შესახებ. ამ ცნობით, უკვე შემდგარა რუსეთის ბანკების სინდიკატი, რომელსაც ძირითადი თანხა 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეუდგენია სპარსეთში რკინის გზის გასაყვანად კავკასიიდან ბელუჯისტანამდე. ამ პროექტს მხარს უჭერენ სტოლიპინი, საზონოვი, ტიმირიაზევი, ხომიაკოვი და გუჩკოვი.

**ტფ. სახალხო უნივერსიტეტი.** 8 ნოემბერ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა მორიგი კრება, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა.

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარი გამგეობა** მოაგონებს თავისს წევრებს, ვისაც საწევრო ფული სამი მანეთი არ შემოუტანია, დროზედ გამოგზავნოს. ფული შეიძლება გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე.

**ქველ-მოქმედთა ყურადღებას** მივაქცევთ დედმამით ობოლ, უწყალო სიღარიბეში მყოფ ტფ. სასულიერო სემინარიის 1 კლასის მოწაფე ფანოზიშვილზე, რომელსაც სემინარიის მთავრობა 25 მანეთსა სთხოვს, როგორც ახლად შესულს; თუ არ წარადგენს, ზამთრის ტანისამოსს არ აძლევენ, და ბოლოს სასწავლებლიდანაც გამოისტუმრებენ. მერე კი სიცივით მას გაყინვა მოელის ამ ცივ დროს.

**ჟურნალი „ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის" ოქტომბრის ნომერი, რომელიც ჩვეულებრივ საინტერესოდ არის შედგენილი. შინაარსი შემდეგია:

სურათი: ინდოელი სადამურზე ათამაშებს გველებს. მერცხალის ლექსი, **ლადო გეგეჭკორისა. ჯარის ბებერი ცხენი** (ჟურავსკიდან). არაბი და გველი (თარგმანი). **ერთი ახალგაზრდა დოშის** ამბავი ზღაპარი (თარგმანი), **ტასოსი.** საუცხოვო კუთხე გადმოცემული, ა. ფ.—სი. ფუტკილი ლექსი, **გ. ქუჩიშვილისა.** ბუზქებში გახიზნული—ცქვიტისა. ბიძიას ნაამბობი, (შემდეგი) ალ. ნათაძისა. გესლიანი გველები ცხელ ქვეყნებში, ალ. ჯიჯინაძისა. დატაკი ხალხი ვიქტორ ჰიუგოსი თარგმანი იტასი. ქალი მონადირე თარგმანი (პატარა ამბავი), ბაბილინასი. საქართველოს ისტორიის შედგენილი ს. გორგაძისა.

8 ნოემბერს ტფილისში თავი მოიწამლა სტეფანე დიუბჩენკომ, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

8 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 31 კაცი.

# გიორგი დეკანოზიშვილი

† ნეკროლოგი.

6 ნოემბერს, საფრანგეთში გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე გიორგი დეკანოზიშვილი. ჯერ დრო და გარემოება არ მოგვიფებულა ამ შესანიშნავ პიროვნების სავსებით დაფასებისათვის. ამიტომ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ბიოგრაფიულ ფაქტებს, რომელნიც მასალად დარჩებიან მომავალში სრულ ბიოგრაფიის შესადგენად.

გიორგი დეკანოზიშვილი ქართლელ აზნაურის შვილი იყო, სოფელ რუისიდან. დაიბადა 1867 წ. რუსეთის ქალაქ სარატოვში, სადაც მამა მისი სამხედრო სამსახურში კაცი იყო მაიორის ჩინით. გიორგი სწავლობდა ტფ. რეალურ სასწავლებელში და დაამთავრა 1886 წელს. გიორგი ფრიად დიდი ნიჭისა და შრომის მოყვარე ყმაწვილი იყო. დიდს გასაჭირში დარჩა რეალურ სასწავლებელში სწავლის გათავების შემდეგ. იძულებული გახდა პეტერბურგის კავალერიის სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. მაგრამ იქ დიდ ხანს არ დარჩენილა. შესვლისთანავე იუნკრებთან უთანხმოება მოუვიდა. იუნკრებს გარდა სასწავლო წიგნებისა სხვას არ აკითხებდნენ. გიორგი-კი არ ემორჩილებოდა იმ სასწავლებელში გამეფებულს რეჟიმს. ამ მიზეზით, ორი-სამის კვირის შემდეგ სასწავლებელს თავი გაანება და წავიდა მოსკოვში, სადაც ეგზამენი ჩააბარა უმაღლესს ტეხნიკურ სასწავლებელში. მეორე კურსზე რომ გადავიდა, ისევ პეტერბურგში დაბრუნება არჩია და შევიდა სამთო ინსტიტუტში, რომელიც დასრულდა 1892 წ. სტუდენტობის დროს დიდ შრომის მოყვარეობას იჩენდა და ამასთან კარგი ორგანიზატორი იყო ყოველ გვარ სათვისტომო საქმეებისა.

სამთო ინჟინერის სამსახური დაიწყო ჭიათურაში, ნიკოლოზ ლომბერიძის წარმოებაზე. იქ დაჰყო მან სამი წელიწადი. შემდეგ გადავიდა ნობელთან, ბაქოში, სადაც დაჰყო 1897 წლამდე.

ამ დროიდან იწყება გიორგი დეკანოზშვილის სულიერ არსებაში ღრმა მწვავე მუშაობა. თუმცა მატერიალურად სრულიად უზრუნველ ყოფილი იყო, კარგი ჯამაგირიანი ადგილი ჰქონდა, მაგრამ ყველა ამითი ვერ კმაყოფილდებოდა. მას სწადდა სხვა გვარი მუშაობა, სხვა გვარი ცხოვრება. მან იგრძნო, რომ კიდევ სწავლაა საჭირო. ამ აზრით მან ყველაფერს, ადგილს, უდარდელ ცხოვრებას თავი გაანება და საზღვარგარედ წავიდა. იქ მან ოთხი წელიწადი დაჰყო: შეისწავლა ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენები. რომიდან საყურადღებო კორესპონდენციებს ჰგზავნიდა „ცნობის ფურცელში" 1901 წ. მალე იგი ტფილისში დაბრუნდა. და აქ მხნე მუშაობას შეუდგა ჩვენს საზოგადოებრივ დაწესებულებებში,—დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ხაზინადრად და წ.-კ. საზოგადოების გამგეობის წევრად იყო. საზღვარ-გარედ ყოფნის დროს გიორგიმ ფრანგის ქალი შეირთო და შვილებიც გაუჩნდა—ქალ ვაჟი.

1902 წ. ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გაგზავნა იგი ბრაზილიაში, ამერიკულ შავი-ქვის წარმოებისა და ბაზრის შესასწავლად. ეს საქმე მან ღირსეულად აასრულა. და მისი ვრცელი გამოკვლევა ამ საგნისა ცალკე წიგნადაც გამოსცა ხსენებულმა საბჭომ.

1903 წელს გიორგი დეკანოზიშვილი იღებს მონაწილეობას პარიზში დაარსებულ ქართულ-ფრანგულ ორგანოში „საქართველო", და ორი წლის განმავლობაში ამ საქმეს გულმოდგინეობით ემსახურება. იგი მხურვალე მომხრე იყო ეროვნულ ავტონომიისა. გიორგის შეურყევლად სწამდა, რომ ქართველი ხალხი აღორძინების გზაზე დადგება ორის გზით. ერთის მხრივ, იგი შეჰქმნის შრომისათვის სამართლიან სოციალურ პირობათ და მეორეს მხრივ თავის ეროვნულ კულტურას თვითმმართველობის ფარგლებში განავითარებს.

გიორგი დეკანოზიშვილს სამშობლოში დაბრუნება აღარ ეღირსა. ბევრ მუშაობისა და აღელვებისაგან იგი დასნეულდა და უკანასკნელ წლების განმავლობაში მძიმე ავადმყოფი, იტანჯებოდა სამშობლოს გარედ.

სიკვდილმა მოუღო ბოლო მის ტანჯვას ამ რამდენიმე დღის წინად...

# ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

დია წერილი.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ დაიწერა ჩვენს პრესსაში ქართველ სტუდენტების შესახებ. უმეტეს ნაწილს ამ წერილებისას შეადგენდნენ წერილები სხვა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებიდან თვით სტუდენტებისაგან გამოგზავნილი.

თუ კარგად დააკვირდებოდით, ამ წერილებს, უსათუოდ ერთ უსიამოვნო შთაბეჭდილებას გამოიტანდით: წუწუნი, გოდება, თავში ცემა და სხვა ამ გვარი ამბები აჰრელებდნენ ადგილობრივ კორესპონდენციებს, რომელნიც ეხლანდელ ქართველ სტუდენტობის ცხოვრებას ეხებოდნენ. მართალია, პესსიმიზმა მაგრად ფეხი გაიდგა ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ამითი საქმიანობა არ შეფერხებულა. ქართველი სტუდენტობა კი enmasse მარტო პესსიმიზმით იკვებება, მითი გულს იგრილებს და არავითარ საქმის უნარს არ იჩენს.

მაგრამ პირდაპირ საზარელად მიგვაჩნია, ის გარემოება, რომ ეხლანდელი ახალგაზრდა თაობა მარტო წუწუნით და გოდებით მოცულია მაშინ, როდესაც სამშობლო ერი ელის მხნე, ჯანმრთელ და განათლებულ ვაჟკაცებს და არა თავმოხრილ პესსიმისტებს. მაინც ჩვენ არ გვგონია, რომ ქართველ სტუდენტობაში არ მოიპოვებოდეს ბევრნი იმისთანა პირნი, რომელნიც პესსიმიზმის გარეშე სდგანან და მუშაობენ კიდეც... პირიქით ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ზოგი ერთ უნივერსიტეტებში არსებობენ ქართველი სამეცნიერო და კულტურული ჯგუფები, სადაც ეროვნული მუშაობა ნელ-ნელა მიმდინარეობს.

სწორედ ამ ჯგუფების უმთავრესი მოვალეობაა თავის მხნეობით, ინიციატივითა და **განსაზღვრულ მუშაობით** გასტეხოს, გაჰფანტოს ეგ საზარელი და მავნებელი პესსიმიზმი და შეაკავშიროს ახალგაზრდა ძალები.

კავშირის ლოზუნგი უნდა იყოს მუშაობა, კიდევ მუშაობა და მარტო მუშაობა ეროვნულ ნიადაგზე. მუშაობის დევიზი კი ერთია: გაკეთდეს ცოტა და კარგად.

სამოღვაწო ასპარეზი დიდია. ვისაც თავისი სამშობლო ქვეყანა უყვარს და ცოტათი მაინც გათვალისწინებული აქვს მისი აწმყო, ის დარწმუნდება, რომ დღეს ქართველთა ცხოვრება სუყველაფერს მოკლებულია. საერთოდ მოკლებულია კულტურულ შინაარსს, ბევრს იმ კულტურულ ელემენტს, ურომლისოდაც შეუძლებელია ერის წინსვლა.

ამ მოსაზრებით ჩვენ შემოგვაქვს ჯერ-ჯერობით ქვემო აღნიშნული პატარა გეგმა მუშაობისა, რომლითაც მოგმართავთ ქართველ განათლებულ ახალგაზრდობას და გაძლევთ წინადადებას, განახორციელოთ ეს გეგმა და მით შეიტანოთ თავისი კულტურული წვლილი საერო სალაროში.

I **გადათარგმნა ქართულ ენაზედ:**

ფრანგულ, გერმანულ და რუსულიდან (ან სხვა-უცხო ენებიდან) ხალხისათვის მისაწდომ საუკეთესო წიგნაკებისა: ა) **მეცნიერული** (გეოგრაფია, ასტრონომია, ფიზიკა, ბუნების მეტყველება და სხვა). ბ) **სამეურნეო და კოოპერატიული** (სოფლის ბანკები, წვრილი სესხის ამხანაგობანი, პრაქტიკული და ტეხნიკური ცნობანი სხვა და სხვა სამეურნეო დარგებიდან.

II შედგენა გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ (სტატისტიკური დიაგრამები, კარტოგრამები). საქართველოს რუქებისა ეხლანდელ საზღვრებში;

**მასშტაბი 10 ვერსი ერთ დიუმში.**

III შევსება ახალ ქართულ სიტყვებით ჩუბინაშვილის ლექსიკონისა.

IV შედგენა ფერად სურათებისა ქართველთა ცხოვრებიდან სოფლის სკოლებისათვის:

ა) ერთი სურათი საქართველოს ეტნოგრაფიულ ტიპებისა.

ბ) ორი სურათი ისტორიიდან („ოქროს ხანა", მეფის ერეკლის დრო ან სხვა).

გ) სამი სურათი ქართულ სოფლის ცხოვრებიდან (შესანიშნავი ქართული სახლ-კარი, ხვნა, თესვა, ვენახის მოვლა და სხვა ამ გვარი).

V მოწყობა ზაფხულობით საზოგადო და სახალხო ლექციებისა სხვა და სხვა დარგებიდან.

მართალია ამ გეგმაში ძნელი საკითხებიც არის დაყენებული, რომლის განხორციელება უსათუოდ თხოულობს სისტემატიურ ჯგუფობრივ მუშაობას, მაგრამ სიძნელე საქმისა მის უარჰყოფას არ ნიშნავს.. თუ ენერგიულად და საქმის სიყვარულით ერთმანეთს დავეხმარებით, სიძნელესაც მოვსპობთ, სიძნელესაც მოვსპობთ და თავის წმინდა მოვალეობას სამშობლო ერის წინაშე ავასრულებთ. ბევრი სხვა საკითხიც არი განსახორციელებელი, მაგრამ ჯერ ჯერობით ესეც კმარა.

**დ. კახელი.**

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენი მტერ-მოყვარე „ზატერიანი" ისევ განაგრძობს გავლენიანს „ნოვოე ვრემიაში" თავის იერიშებს ქართველების წინააღმდეგ. ამ გაზეთის 3 ნოემბრის №-ში იგი სწერს „დანაშაული და ახალგაზრდობა"-ს სათაურით:

საოცარია!.. რა წამს კავკასიის მმართველობა დაბეჯითებით იწყებს რწმუნებას, კავკასიაში რევოლუცია აღმოფხვერით, მხოლოდ აქა-იქ ყაჩაღთა ბრბო თუ დაძრწის და მშვიდობიან მცხოვრებთ არ ასვენებსო, ისევ ახლდება ტერრორისტული აქტები, რომელთაც განსაკუთრებით პოლიტიკური სარჩული აქვს.

1909 წლის ნახევარში სამხედრო წესები მოხსნილი იქმნა ქუთაისის გუბერნიაში. მოხდა ეს და „ამხანაგებიც" თავიანთ საქმეს შეუდგნენ. ოზურგეთის მაზრამ ხმა აღიმაღლა. მართალია, მთელი ქუთაისის გუბერნია თითქოს გარეგნულად დაწყნარდა, მაგრამ გურიას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. განსაკუთრებითი ზომები იკავებდნენ „თავისუფლების მოყვარულ" მემბოხეებს, მხოლოდ როდესაც ეს ზომები, რაღაც გაუგებარ მოსაზრებით, მოხსნილ იქმნა, მაშინვე მებრძოლებმა იარაღის ახსნა დაიწყეს.

1910 წ. მარტის თვეში, ქუთაისის გუბერნატორი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ გურიაში ორი ასეული ყაზახთა რაზმი გაეგზავნათ, რომ ადგილობრივ მმართველობას დახმარებოდნენ, და პოლიციის გასაძლიერებლად მიემატებინათ 50 კაცი. გუბერნატორის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, მათი გამოჩენა და რევოლუციონერთა მიმალვა ერთი იყო. მაგრამ, როგორც ეს ყოველთვის ჰხდება ხოლმე დღევანდელ კავკასიის მმართველობაში, ორის თვის უკან ყაზახები ისევ გამობრუნეს. კეთილის მსურველი „კავკასიის მთავარი მმართველობა" ყოველთვის ... რობს, რომ ყაზახთა ჩაყენება ... გააბრაზებს გურულებსა და „შიპკაზე" მაინც მშვიდობიანობა სუფევსო. ყაზახთა დაბრუნების უმალ რევოლუციონერთა ტერრორისტული მოქმედება განახლდა. მარიამობისთვეში რევოლუციონერებმა მოსპეს ოთხი პოლიციის აგენტი, მხოლოდ ენკენისთვის დამლევს საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელის სოფლის თვალ წინ ხედ შუადღეს „ამხანაგებმა" მოჰკლეს ამაღლების მამასახლისი მარტო იმიტომ, რომ იგი მხნედ შეუდგა ძებნას ბათუმის ექიმის ტრიანდაფილიდისის მკვლელობისას, რომელნიც სამხედრო სასამართლოს დადგენილებით, ჩამოხრჩობილ იქმნენ.

გურული რაზმელები და „მებრძოლნი" დღითი-დღე-კი არა, საათიდან საათამდე თამამობდნენ და აღვირაშვებით იწყებდნენ მოქმედებას. ოზურგეთის „მშვიდობიანობამ" კვლავინდებურად ველარ მიაძინა ტფილისი, რომელმაც იმდენი მამაცობა გამოიჩინა, რომ ხელ-ახლად ძალ-ღონე მოიკრიბა და ყაზახები გაგზავნა, რომელნიც ასე წინ დაუხედავად გამოაბრუნა რამდენიმე თვის წინ.

ეხლა კავკასიის მთავარი მმართველობა უნდა დაჩქარდეს პოლიციის დარაჯთა გაძლიერებაზე. მართალია, ისეთ მცველთ თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისინი არიან უმთავრესი ყავარჯენნი ბოქაულებისა და მაზრის უფროსების დასაცველად. უდარაჯოთ პოლიცია სრულიად უძლურია. თუ რაოდენად ამაოდ არიან საპოლიციო ძალები დაფანტულნი ამიერ კავკასიაში, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითები: ერევნის გუბერნიაში, სადაც სულ ერთგვარი მცხოვრებნი არიან, პოლიციის სადარაჯო რიცხვი უდრის 1,100 კაცს, მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, სადაც აჰრელებულ მცხოვრებთა რიცხვი ასე მიფანტულ-მოფანტულია, სვანეთში. ამ მთიან ღრე-ტყეში, სადაც ფეხით შეუძლებელია შესვლა, თუ ნაჩვევი ცხენი არა გყავს,—მთელი პოლიციის ძალა არ აღემატება 540 კაცს. რატომ? ამას თვით ბ. პეტერსონიც ვერაგვი ხსნის.

შემდეგ ავტორი იძლევა წინადადებას, რომ ერევნის გუბერნიაში დატოვებული იქმნას ხოლოდ 600 კაცი. დანარჩენი 500 კ. გადაყვანილ იქმნას ოზურგეთში, სადაც „დაუცხრომელი აჯანყება მხოლოდ დროებით წყნარდება, მაგრამ არასოდეს არა სწყდებაო. და ბოლოს ბ. „ზატერიანი" სწვდება ახალ გაზრდობას.

„ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ყოველს გამოსვლაზე მხოლოდ ახალგაზრდობა იღებს მონაწილეობას. რუსეთმა იცის, რომ ახალგაზრდობა მხოლოდ სკოლებში მიიწევს, მაგრამ ჰსმენია რუსეთს როდისმე, რომ ამიერ-კავკასიაში ახალგაზრდობა ციხის კარებს აწყდება? ისე სჩადის, თითქოს სკოლა და ციხე ურთი-ერთის შუა ხიდსა სდებს. წარმოიდგინეთ, კავკასიის ზოგი ერთ ქალაქებში ძალაუნებურად ატკბობენ, ციხისა და ტუსაღების ცქერით. ქ. ბათუმში, მაგალითად, ვაჟთა გიმნაზია ციხის გვერდით არის აგებული: მხოლოდ სამაზრო ქალაქ სიღნაღში ქალთა მარიამის სკოლა ციხისაგან ვიწრო კედლით არის გამოყოფილი. და აი რა შესძლვნა ასეთმა დაუდევრობამ: 6 ოქტომბერს დილით მოსწავლე ქალებმა დაინახეს ხვრელი, რომლიდანაც ჯერ მკლავი გამოჩნდა, შემდეგ თავი ცნობილ ყაჩაღის ღვთისო პოტიაშვილისა, რომელსაც გაქცევა განეზრახა. უფროსისა და მოწაფეების წივილ-კივილზე მოსცვივდნენ დარაჯები, რომელთაც შეაჩერეს მისი გაქცევა.

ავტორი ბოლოს ტფილისში გამეფებულ სამხედრო წესებსაც ეხება და ნანობს, როგორ თუ გრაფის საბჭოში აღიძრა მის მოხსნის შესახებ საკითხი. რას იზამ, მკითხველო, ჩვენი ასეთი „თავისუფლება"-კი ჰშურს „ნოვოე ვრემიას კორესპონდენტსა და მუცუხალს გვიკეთებს.

# მოწერილი ამბები

**დ. სახხერე** (შორაპნის მაზრა)

ორშაბათს 1 ნოემბერს სახხერის ორკლასიან სკოლაში საზეიმოდ ხაპიდი ტფილისიდგან საქართველოს საეგზარხოსოს სკოლების ოლქის მეთვალყურე დეკანოზი მამა პაშკევიჩი თან ახლდა შორაპნის სამრევლო სკოლების მაზრის ზედამხედველი მღვდელი მ. იაკობ გვედესიანი. მამა პაშკევიჩმა გულდასმით და დაწვრილებით გამოს-

ცად მოწაფეები როგორც სხვა საგნებში, ისე ქართულ ენაშიაც. ბავშვები კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ. სასიამოვნო მოვლენად ჩაითვლება ის გარემოება, რომ მ. ჭაშკევიჩი ჩვენს სკოლებში დიდს ყურადღებას აქცევს ქართულ ენის კარგად შესწავლას. ცხადია მამა დეკანოზი ღრმად დარწმუნებულია, რომ თუ უმაწვილი სამშობლო ენის ცოდნას მოკლებულია და თავისს ენაზედ არ განვითარდა, მას უცხო ენისა და საგნების შეთვისებაც არ შეუძლიან, ამას თხოულობს ჭეშმარიტი პედაგოგიკა. სასიამოვნოა ისიც, რომ საჩხერის ორკლასიან სკოლაში შრომის მოყვარე და ბეჯითი მასწავლებელნი არიან, ამ სკოლას მზრუნველიც კარგი ჰყავს—ბატონი დიმიტრი აბაშიძე, რომელიც თავს არ იზოგავს და ყოველისფერში ეხმარება სკოლას როგორც ზნეობრივად, ის ქონებრივადაც. ბატონმა აბაშიძემ მშვენიერი ხის შენობა გამოაწყო და თავის საკუთარი ხარჯით დაუთმობს სკოლას საკუთრებად.

2-ს ნოემბერს მ. ჭაშკევიჩი ჭიათურაში გაემგზავრა სარევიზიოდ. ჭიათურის ახალ ორ კლასიან სკოლაში რევიზიამ გასტანა 12 საათამდის. მოწაფეების მკვირცხლმა პასუხმა და სკოლის დისციპლინამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჯოლქის მეთვალყურეზედ, რომელმაც მადლობა უთხრა სკოლის მმართველს მამა ბესარიონ გაშაძეს და მთელს კორპორაციას ერთგულ შრომისათვის, უსურვა ახალ სკოლას აყვავება და შემდეგ გაემგზავრა დ. ყვირილაში სარევიზიოდ. სკოლის გამგე მამა გაშაძე მეოთხე წელიწადია, რაც აქ გადმოუყვანიათ და ამ სკოლაში შრომობს, როგორც ამბობენ, მთლად უსასყიდლოდ. მაშინ როდესაც სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი ჩვენის სამღვდელოებისა სახალხო განათლების საქმეში ვერ იჩენს შესაფერისს სიბეჯითესა და ერთგულებას.

**საჩხერელი.**

—

**სამურზაყანო.** სამურზაყანო, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 60 ათასს აღემატება; ერთ მიყრუებულ მხარეს წარმოადგენს; მთელ მხარეში არ მოიპოვება ერთი ხეირიანი გზა რომელზეც მიმოსვლა შეიძლებოდეს, და არც გაკეთებაზე ფიქრობს ვინმე არის მხოლოდ ერთად ერთი შოსე „სოხუმის სამხედრო გზა“-დ წოდებული, რომელიც მთავრობის ხარჯით კეთდება, მაგრამ ზუგდიდსა და ოჩემჩირეს შუა ეს გზაც მუდამ გაფუჭებულია აკეთებენ მხოლოდ პატარა ბოგირებს და აქა-იქ ქვების დაყრით აბოლოვებენ საქმეს. მდინარეებზე ხიდების გაკეთება ფიქრადაც არავის მოსდის რადგანაც მდინარე ენგურის მიმდინარეობა მუდამ ერთ კალაპოტში არ არის, ამისთვის მასზე ხიდის გადება თითქმის შეუძლებლად მიაჩნიათ; დანარჩენ მდინარეებზე, ღალიძგასა და ერის წყალზე ხიდების გაუკეთებლობის მიზეზი ჯერ კი ვერ გავიგეთ. ეს ორი მდინარე ძალიან პატარაა, მაგრამ წყალ-დიდობის დროს ისე ადიდდება, რომ მათზე გასვლა არც ფეხით და არც ცხენით არ შეიძლება; წყალ-დიდობის დროს ამ მდინარეების ნაპირებზე მგზავრებს ხშირად უხდებათ გაჩერება წყლის დაკლების ლოდინში. ჯერ წელიწადი არ გასულა ისე, რომ ამ მდინარეებში ვინმე არ დამხრჩვალიყოს, და ვინ იცის, კიდევ რამდენს მოელის უბედურება, თუ მათზე ხიდები არ გაიჭედა. საზოგადოდ ეს მხარე სიბნელით არის მოცული; სისხლის ძიება და ცრუმორწმუნოება აქაურ ხალხს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, როგორც კი ვინმე გახდება ავად, მაშინვე ავადმყოფის ჭირისუფალი მკითხავს მიმართავს, ან და კარგი მსუქანი ბატკანით მიეშურება ილორის ეკლესიაში, რომელიც ოჩემჩირის მახლობლად იმყოფება.

სამურზაყანოს შუაგულ ადგილს, დაბა გალში შემდეგი დაწესებულებანი მოიპოვებიან: მომრიგებელი სამსაჯულო, პოლიციის სამმართველო, უფასო საავადმყოფო, ერთი ექიმით, ორის ფერშლითა და ერთის ბებია ქალით, ათთიანი და ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. დიდი ხანია საზოგადოება თხოულობს ფოსტა ტელეგრაფის კანტორის გახსნას დაბა გალში მაგრამ ამ დაწესებულების დაარსებას ჯერ მაინც ვერ ვეღირსეთ.

ორი წელიწადია, რაც ქალის ორკლასიან სასწავლებელში ქართველმა მასწავლებლებმა თავისის ნებით შესწყვიტეს ქართულ ენის სწავლება; ამ სასწავლებელს ჰბაძავს დანარჩენი სკოლები, და მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში სამურზაყანოს სკოლებში ქართულ ენის ჭაჭანებაც არ იქნება. გასაკვირველი ის არის, რომ ქართულ ენის გაუქმებას თვითონ მასწავლებლები თხოულობენ, ერთ კლასიან სკოლის მასწავლებელმა ბ-მა კვარცხელიამ თხოვნა მიართვა სადაც ჯერ არს და მოითხოვა მის სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების გაუქმება. მკითხველებმა უკვე იციან, რომ აფხაზეთის ეკლესიებში ღვთის მსახურება აფხაზურ ენაზე სწარმოებს ჰსურდათ ეს ენა სამურზაყანოშიაც გავრცელებინა; ამ მიზნით შემოიღეს აფხაზურ ენაზე წირვა ლოცვა ბედიის ტაძარში, რომელიც სამურზაყანოში იმყოფება; დიდი ხანი არ არის, რაც ეს ტაძარი ინახულა სოხუმის ეპისკოპოსმა; მთელის ბედიის საზოგადოებამ თხოვნა მიართვა ეპისკოპოსს და სთხოვა ქართული ენის აღდგენა ზემოხსენებულ ტაძარში, რადგანაც უხსოვარ დროიდან დაწყებული წირვა ლოცვა ქართულ ენაზე ყოფილა და არა აფხაზურზედ. ეპისკოპოსი დასთანხმდა და დღეს ბედიის დანგრეულ ტაძარში ღვთის მსახურება ისევ ქართულ ენაზე გაისმის ბედიის დანგრეულ ტაძრის განახლება იკისრა ბერმა შელიამ.

**ბ. ქ—ია.**

## მცირე შენიშვნა

ექვსს ამ თვისას მივიღე წერილობითი მიწვევა საზოგადო წლიურს კრებაზე ანასტასია მიხეილის ასულის წერეთლისაგან და მიწვევასთან ერთად მომივიდა წლიური ანგარიში. ჩემდა სამწუხაროდ, კრებაზე ვერ დავესწარი უქეიფობისა გამო. მაგრამ საჭიროდ კი ვსცან ჩემი აზრი გამეზიარებინა საზოგადოების „განათლების“ გამგეობისათვის, და გავუგზავნე ანასტასია მიხეილის ასულს შემდეგი მცირე წერილი.

„თქვენი სასწავლებლის მდგომარეობა თქვენ მიერ გამოგზავნილ ანგარიშიდან მეტ-ნაკლებობით გავითვალისწინე. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ საქმის შესახებ ცოტა განსხვავებულის აზრისა ვარ. თქვენი სასწავლებელი, როგორაც მოსამზადებელი განყოფილებანი, ისე პროგიმნაზიული კლასები, ამზადებენ მოსწავლე ქართველს გოგონებს საშუალო სახელმწიფო სასწავლებლებისათვის,—ესენი კი, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, გადაგვარების და გამობირების გზაზე აყენებენ ჩვენს მოზარდს თაობასა, მეტადრე ქალებსა და სახელმწიფოს უმზადებენ „ჩინოვნიკებსა და ჩინოვნიცებს“. ეს გზა ხელიდან აცლის ჩვენს სამშობლოს ზემო-წოდების შვილებსა და საფრთხეში აგდებს თვით არსებობას ჩვენის ერისასა. ჩვენი იმედი ამ ჟამად დამყარებულია ქვემო-წოდების შვილებზე. თუ ამ წოდების მოზარდი თაობა, რომელიც შეადგენს დიდს უმრავლესობას მთელის ქართველის მოზარდ თაობისას, ავაცილეთ ბიუროკრატიულს გზასა და ეროვნულს ნიადაგზე მივეცით მას პრაქტიკული მომზადება ცხოვრებისათვის (და არა სამსახურისათვის), ბედმა იქნება გაგვიღიმოს. თქვენ მიერ დაარსებულ სკოლას ძალუძს ეს ძვირფასი სამსახური გაუწიოს ჩვენს სამშობლოს, თუ იგი დასტოვებს თავისს მოსამზადებელ ხასიათსა და გადაიქცევა თვითმდგომარე განათლების კერძად, რომელიც ანიჭებს თავისს მოწაფეებს ეროვნულად შეზავებულს გონებრივს, ზნეობრივსა და პრაქტიკულს სინათლეს, ცოდნას და აღჭურვას, შეძლების დაგვარად, საარსებო ბრძოლისათვის, ცხოვრების გზის გაკვლევისათვის. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა თქვენს სასწავლებელში მოხდეს შემდეგი რეორგანიზაცია: დაწესდეს ექვსის წლის კურსი და საგნების სწავლება დამყარდეს ქართულს ენაზე ყველა კლასებში. მთელის ექვსის წლის განმავლობაში. პირველი ოთხი კლასი უნდა აძლევდეს თავისს მოწაფეებს საზოგადო განათლებასა, მეხუთე და მეექვსე პროფესიულს კურს უნდა შეიცავდეს. აქ სწავლა-დასრულებულნი, უმეტეს ნაწილად, გამოდიან ცხოვრებაში და პრაქტიკულს საქმეს პირდაპირ ადგებიან, უმცირესობა კი, რომელსაც გარემოება ხელს უწყობს საშუალო სასწავლებელში შევიდეს, მოკლე ხნის განმავლობაში კერძოდ მოემზადება მისაღებ ეგზემენისათვის და დაიჭერს მას. ამ უკანასკნელებს ბიუროკრატიული სასწავლებელი ვეღარ გადაავარებს, რადგანაც ექვსის წლის განმავლობაში სწავლება ყველა საგნებისა დედა-ენაზე ღრმად ჩანერგავს მათში ეროვნულს მიმართულებასა“.

მკითხველი უსათუოდ მკითხავს: განა მთავრობა ნებას მოგვცემს ექვსის წლის განმავლობაში ქართულს ენაზე ვასწავლოთ ყველა საგნები? უნდა მოგვცეს, რადგანაც „განათლება“ არის კერძო საზოგადოება და მისი სკოლაც არის და იქნება კერძო დაწესებულება. ამისთანა სკოლებს ძველის რეჟიმის დროსაც კი ჰქონდათ უფლება — სწავლება ეწარმოებინათ დედა-ენაზე, მხოლოდ ვალდებულნი იყვნენ გეოგრაფია და ისტორია რუსეთისა ესწავლებინათ რუსულ ენაზე. წინამძღვრიანთ სკოლამ, რომელიც იყო და არის კერძო დაწესებულება, მიიღო ეს უფლება მთავრობისაგან, თუმცა დიდის მეცადინეობის შემდეგ. ქალზე ხალხური ანდაზა ამბობს: „თუ დედაკაცმა გაიწია, ცხრა ემა-კაცი ვერ დაიჭერსო“. ნუ თუ რაც ძველ რეჟიმის დროს მოიპოვეს ქართველმა მამა-კაცებმა იმას ვერ შესძლებენ ახალის რეჟიმის დროს ქართველი ქალები? მეტადრე იმისთანა მხნენი, როგორნიც არიან „განათლების“ სკოლის გამგენი და ხელმძღვანელნი? **იაკობ გოგებაშვილი.**

# უცხოეთი

**მაკედონიის მდგომარეობა.**

სალონიკიდან იუწყებიან, რომ მთავრობას გადაუწყვეტია რევოლიუციონერთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოს. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობა მუსულმანთა ბრბოებს ადგენს და მათს ხელმძღვანელებად აფიცრებსა ნიშნავს. ამ ბრბოთა მოვალეობაა რევოლიუციონერთა გაჟლეტა.

ოსმალეთის მთავრობა ქრისტიანთა წინააღმდეგ დღითი-დღე დევნას აძლიერებს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მაკედონიაში სხვა და სხვა ჯგუფთა უკიდურესი მოქმედება მთავრობის სისასტიკისა და მართვა-გამგეობის უვარგისობითაა გამოწვეული. გაზეთები აშკარად აღიარებენ, რომ მაკედონიაში ქრისტიანი მკვიდრნი დიდს სატანჯველში არიან პანისლამიზმის მეოხებით, რასაც ოსმალეთის მთავრობაც ხელს დიდად უწყობს. ქრისტიანთა მკვიდრნი ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ ოსმალებს როგორმე დაუახლოვდნენ და მათი გული მოიგონ მაგრამ ვერას გამხდარან. ოსმალეთის გავლენიანი წრეები ამბობენ ჩვენ არ ვიცით, სადამდი მივა მმართველთა მოქმედება ქრისტიანთა წინააღმდეგ, ბრბოს გამოყვანა უნდა ჩაითვალოს მმართველთა უკმაყოფილებად. მმართველობასთან გამკლავებას არავითარი ნაყოფი არ ექნება და წინასწარ ვხედავთ კიდეც ქრისტიანების სამწუხარო ბედს მაკედონიაში. 30 კაცისაგან შემდგარმა ბოლგართა ბრბომ, რომელიც თურქულად იყო გამოწყობილი, აიკლო სოფელი გონჩარი, კომია და მოლეხი. აქედან გაემართა ჯუმელიისკენ, სადაც ჯართან მოუხდათ შეტაკება. მოკლულია ორი ჯარის-კაცი და ჩერნოპეევის რაზმის სამი წევრი.

ასეთივე შეტაკება მოხდა ოსმალთა—შავიმთის საზღვრებზე. მოკლულია 10 კაცი და მრავალი დაჭრილი.

ალბანელი მუსულმანები, რომელნიც შავიმთის ტერიტორიაზე გადასულან, უარს ამბობენ ოსმალეთში დაბრუნებაზე. გამოცხადებულ ამნისტიისა მათ არა სჯერათ-რა და ისევ აქ დარჩენას არჩევენ.

# თეატრი და ხელოვნება

**სომხური თეატრი.** ორშაბათს, 8 ნოემბერს, სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ბერნშტეინის „ახალი მინისტრი“ 4-მოქ. პიესა,

პიესა ეხება იმ საკითხს, თუ რა გავლენას იქონიებს კაცზე ის გარემოება, როდესაც ადამიანი შეირთავს ცოლს მოხუცებაში და მეტადრე იმ გვარ ცოლს, რომლის raison d'etre მხოლოდ და მხოლოდ კარგი, ასე იგი არისტოკრატიული ცხოვრებაა. ამის შემდეგი ის არის რომ ამ გვარ მდგომარეობაში მყოფი ქმარი უღალატებს თავის იდეალებს. პოლიტიკურ რწმენასა, თან და თან უკან იხევს და მიაღწევს იქამდის რომ ქრთამსაც აიღებს, სხვის ფულსაც შეითვისებს და საბოლოოდ დაიღუპება. ცოლი კი ამ დროს თავს გაანებებს და საყვარელთან ერთად გაიქცევა.

საუკეთესოდ შეასრულეს თავიანთი როლები ბ. ბ. აბელიანმა და არმენიანმა. ქ.ქ. პაისურიანმა და არაქსიამ კარგად დაგვისურათეს-პირველმა გახრწნილ ქალისა და მეორემ პატიოსან მშრომელ ქალის—მექანდაკის როლები. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

**Artemius.**

—

**ქუთაისი.** 6 ნოემბერს, ადგილობრივმა დრამატიულმა საზოგადოების დასმა წარმოადგინა ოსტროვსკის ცნობილ პიესა „უდანაშაულოდ დასჯილნი“. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. საზოგადოების უმთავრესი ყურადღება ამ საღამოს მიიქცია ბ-მა მ. ქორელმა, რომელსაც მეტად პასუხსაგები როლი ჰქონდა აღებული—გრიშა ნეზნამოვისა. ჩინებული იყო ის განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში, სადაც მისმა გრძნობიერმა თამაშმა აქვითინა საზოგადოება. მისი მშვენიერი, ტკბილი ხმა პირდაპირ ჰხიბლავს მსმენელს. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით და ყვავილებით დააჯილდოვა მსახიობი. ქ-ნი ქიქოძის ასული საზოგადოდ კარგი კრუჩინინისა იყო, თუმცა უფრო გრძნობიერი თამაში-კი მოეთხოვებოდა. ბ-ნი ყაზბეგიშვილი არ მოგვეწონა შმაგას როლში, იქმნება, იმიტომ, რომ ამ როლის უკეთესი შემსრულებელნი გვინახავს. ქ-ნმა ივანიძის ასულმა მოხდენილად შეასრულა გალჩიხას როლი. მოხდენილადვე თამაშობდა კორინკინის როლს ქ-ნი თამარაშვილი, მხოლოდ ხანდისხან სიტყვებს ძლიერ ურევდა და წინადადების აზრს აბნევდა. ამ იაფფასიან წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო, რომლის დიდს უმეტესობას შეადგენდა ნამდვილი „ხალხი“, ბოხოხ ჩაბალახიანი ჩოხა-კოშიანები, რაც მეტად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მადლობის ღირსია დრამატიული საზოგადოება, რომელიც ყოველ შაბათობით მართავს იაფფასიან წარმოდგენებს და აჩვენებს „ხალხს“ მშობლიურ სცენას. ისევ ამ „ხალხს“ მიაწოდეთ, ბატონებო, გონებრივი-ზნეობრივი საზრდო, აამაღლეთ მისი სული, რომ იქნებ, ის მაინც ასცდეს გადაგვარების გზას, თორემ ჩვენი მცონარე ინტელიგენციისა და ფუქსავატი არისტოკრატიის დიდი იმედი ნუ გაქვთ: მათს „განვითარებულ“ წყუა გემოვნებასა და ესთეტიურ გრძნობას „ვერ აკმაყოფილებს“ ქართული თეატრი, თუნდ საუკეთესო მსახიობებმა საუკეთესო პიესები დადგან. მათ უფრო იზიდავს რუსული წარმოდგენები, ან კლუბები თავისის ვინტ ფრაპ ტაბლო ბაქარათი და „Badium“ „Mon Plaisir“-ები, რომელიც ფარსითა და ეგრეთ წოდებულ „ფრანგულ ჟანრით“ უმასპინძლდებიან პატივცემულ სტუმრებს

— 7 ნოემბერს დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ბ-ნ შიუკაშვილის ახალი ორიგინალური პიესა, ოთხმოქმედებიანი დრამა „სიმახინჯე“, რომლის წარმოდგენასაც ქუთათურები მოუთმენლად მოელოდნენ. წარმოდგენამ დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი. პიესის ორმა მოქმედებამ საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; მსახიობთაც კარგი მომზადება და დაკვირვებული თამაში ეტყობოდათ.

**იხარა.**

## წერილ. რედ. მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ამ ცნობას თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ **ხალხის საცნობლად:**

ტფილისის სახელმწიფო ახალ ბანკის შენობის წინ, ლორისმელიქოვის ქუჩაზე, და გვერდზე, ბარონის ქუჩაზე, სოფლიდან მომავალ ნახშირის და შეშის ურმებს ფურგუნებს და სახედრებს სულ არავის ატარებინებდნენ. რამდენიმეჯერ შევესწარ ამ ალაგას ამისთანა საცოდაობას: ურმები მოვიდნენ თუ არა ბანკთან, მათ უკან **აბრუნებდნენ**, რომ ქვაშვეთის ქუჩით იარმუკაზე ჩასულიყვნენ რადგან სასახლის ქუჩაზედაც არ ატარებენ და ის უნდა მოეარათ გარს, ვისაც უნდოდა ერევნის მოედნისკენ შეშა-ნახშირის გატანა. ამ ქალაქში რამდენი სხვა ბანკია და საგუბერნიო ხაზინა, რატომ ისინი არა ჰკრავენ გზას, რატომ მათ არ უშლის თვით ტრამვაის ძლიერი ხმაურობა?...

რომ საცოდავს ხალხისთვის შედავათი მამეცა როგორმე, გაზ. „Новая речь“-შიაც ჩავაწერინე ამ უწესურობაზედ, მაგრამ მაინც ყური არავინ გაიბერტყა! ამის შემდეგ ამ წლისა 20 ივლისს მივართვი ბატონ ტფ. გუბერნატორს ამ უწესოებაზე ქაღალდი და დღეს ამ საქმეს ძლივს ეშველა. ამაზე მე მანეთ-ნახევრის მარკა ამაცქვლიფეს და შემდეგ ბ. ტფ. გუბერნატორმა კეთილ ინება ხსენებულ ქუჩების გახსნა საქმის დღეებშიაც: ნაშუადღევის სამის საათიდან მეორე დილის ათ საათამდე, კვირაობით-კი გზაშეკრულია ათიდან თერთმეტ საათამდე, რადგან ერთ საათს თურმე რაღაც მუშაობა სწარმოებს და ბედნიერ დღეებში კი გზა სულ გახსნილი იქნება. ასე გამომეცხადა მე ბ. ტფ. გუბერნატორისაგან, მაგრამ წინანდელზე დაჩვეული მეურმეები ამ გზებით გავლას მაინც ვერ ბედავენ თავისუფალ დროსაც, რადგან უკან გაბრუნებასა და წვალებას ერიდებიან და ისევ გარშემო შემოვლით სტანჯვენ ურმის საბმელ საქონელს, ისიც უზომო შრომისგან გაძვალტყავებულს. იმედია ეს ცნობა გაზეთის საშუალებით ყველას ყურამდე მიაღწევს და მით დავიხსნი ოთხ ფეხ საქონელს და ხალხს ტყუილ წვალებისაგან, მინამ ამას. სხვაფრივ როგორმე უკეთესად ეშველებოდეს, რადგან ამაზე ვაპირებ თვით ნამესტნიკის წინაშე თხოვნას, ამ გზების სრულიად გახსნაზე,

ვსთხოვ სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

ქვაშვეთის წ. გიორგის ეკლესიის მთავარი. **ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

**გაცხადებ საყოველთაოდ, რომ 9 ნოემბერს, ნავთლუღის გზაზე**

## ვიპოვე ფული

მიმართეთ დუშეთის ქუჩაზე, № 6, ტრამვაის ვატმანს **ვლადიმერ ბიგაზოვს.** (1 207—1)

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—222

**ექიმი** ნიკო ერისთავი ბათომში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—13)

## გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—16)

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეჟანსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** [illegible] ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. გ. გევორკოვა-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ვ. ყიფიანის დრამა**

## სამეგრელოს მთავარ ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

## ცენტრალური აზიური ბუფეტი
## პურ-ღვინო

✦ **ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ** ✦

საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

— ვ ა ჭ რ ო ბ ა ღ ა მ ი ს 2 ს ა ა თ ა მ დ ე —

(20—160—8) ამხანაგობის გამგე **არხიპო ჭიჭინაძე.**

**ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთოევის მრეწველობისა**

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
## ძმ. ძეგველოვების
## მ ა ღ ა ზ ი ა ს

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი
## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარალანა).
## ხიზილალა

**ახალი, (Зернистая).**

— პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ —

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—27)

**ერთად-ერთი საწყობი ფოთოევის მრეწველობისა.**

**საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა**

**საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა**